საქართ. შეკავშ. სოც.-დემ. სარეკ. პარტია

ტრიბუნა

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვეულად 200,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, ხასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

წელიწადი მეხუთე

განცხადების ფასი
1 გვ. 60,000 მან. ნაწილობრივ
4 „ 50,000 „
საგლეხოდ
1 გვ. 800,000 მან.
4 „ 500,000 „

№ 420 ხუთშაბათი, მარტის 15 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 10,000

საქართველოს კომუნისტური პარტიის მე-2 თავისუფალი ყრილობა

გუშინ, საქართველოს დედა ქალაქში გაიხსნა კომუნისტური პარტიის მეორე თავისუფალი ყრილობა. ამ ყრილობას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო კომუნისტური პარტიისათვის, არამედ საქართველოს სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის.

უმრავლესობის პარტიის ყრილობას, დემოკრატიულ წყობილებაშიაც კი, სადაც სხვა და სხვა პოლიტიკურ ძალთა შეჯახება ქმნის განსაზღვრულ კონსოლიდაციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა ეძლევა სახელმწიფოებრივი ცხოვრებისათვის, მით უფრო სწორია ეს დებულება საბჭოთა ხელისუფლების, როგორც ერთ-ერთ პარტიის პოლიტიკა ითქმის იგივეობას ამყარებს სახელმწიფოს პოლიტიკასთან.

გასულ წელს, კომუნისტური პარტიის ყრილობის დროს, ჩვენ განსაკუთრებული ყურადღება მიქციეთ ეროვნულ მომენტს სახელმწიფოებრივ მშენებლობაში და მიუთითებდით ყრილობას ეროვნული საკითხის რაციონალურად გადაჭრისათვის, რომელიც მწვავედ იდგა ყოველთვის ამიერ-კავკასიაში საერთოდ და საქართველოში კერძოდ.

ჩვენთვის მუდამ აშკარა იყო ის დებულება, რომ კაპიტალისტურ წყობილებაში შეუძლებელია ეროვნული საკითხის სწორი გადაჭრა-გატარება. კოლონიალურ პირობებში ჩაყენებული ჩამორჩენილი ერები და მეტროპოლიებად მოვლენილი კაპიტალისტური ქვეყნები, ჰქმნიდნენ და ჰქმნიან ისეთ ძალთა განწყობილებას, რომ შეუძლებელი ხდება ერთა თანასწორობის გატარება.

დამმონებელთა და დამონებულთა ურთიერთობა სპეციფიური თვისებაა კაპიტალისტური საზოგადოების და ეს ფაქტი ანარეკლია არა კაპიტალისა და შრომის შორის ურთიერთობიდან, არამედ ყრობელ და დაპყრობილ ერთა ურთიერთობიდან.

ჩვენთვის ისიც ნათელი იყო და არის, რომ მარტო რევოლიუციის პროცესი შესძლებდა ეროვნული საკითხის ერთი ხელის დაკვრით გადაწყვეტას.

ეროვნული საკითხი ყოფილ რუსეთის იმპერიაში მეტად მწვავედ იდგა. რევოლიუციონურ მოძრაობას უნდა აეღო მისიათ ჩაგრულ ერთა განთავისუფლება. ოქტომბრის რევოლიუციამ უკვე გადადგა ნაბიჯი ერთა განთავისუფლებისა და ფედერაცია წამოაყენა ერთა ურთიერთობის ფორმად.

ეს აქტი დიდმნიშვნელოვანია და დიდი გადაჯვეულია ფედერალისტური იდეის, მაგრამ ესეც არ კმარა ეროვნულ საკითხის საბოლოო უზრუნველყოფისათვის.

ეროვნული საკითხის გონივრულ გადაჭრისა და მოგვარებისათვის საჭირო იყო და არის რომ ეროვნული საკითხი არ იყოს მიჩნეული ტაქტიკის საკითხად, არამედ ურყევ დებულებად, რომელსაც აქვს თვითღირებულება სოციალ-პოლიტიკურ შემოქმედებაში.

საქართველოში საბჭოთა წყობილებას ეროვნული პოლიტიკის სფეროში ქონდა და აქვს შესამჩნევი დეფექტები, რომელსაც ჩვენ სისტემატიურად აღვნიშნავდით და მიუთითებდით. დღესაც ეროვნული საკითხი არაა საბოლოოდ მოგვარებული.

კომუნისტური პარტიის მეორე თავისუფალი ყრილობა განსაკუთრებულ საკითხად სვამს ეროვნულ მომენტს საბჭოთა წყობილების მშენებლობაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ორი წლის პრაქტიკა საკმაო მასალას იძლევა თვითკრიტიკისა და პოლიტიკის გამოსწორებისათვის, რის ნიადაგზე შეიძლება სწორი და ეროვნული პოლიტიკის აგება.

არა თუ ჩვენთვის, რომელნიც პრინციპიალურად ვიღებთ ეროვნული საკითხის მნიშვნელობას სოციალ-პოლიტიკურ შემოქმედებაში არამედ მათთვისაც კი, რომელნიც ტაქტიკის საკითხად სვამენ მას რევოლიუციის პროცესში, იძულებული არიან ეროვნულ საკითხს, გაუწიონ ანგარიში.

კომუნისტური პარტია საქართველოს პოლიტიკურ მესაჭეობას შეუდგა საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარებით. ამ ფაქტში იმარხებოდა საქართველოს ეროვნული თავისუფლების ურყევად დაცვის თამასუქი, რომელიც მიიღო ქართველმა მშრომელმა ხალხმა კომუნისტური პარტიისაგან.

დამოუკიდებლობა, სეპარაცია თავის თავად არ წარმოადგენს დღეს ეროვნული თავისუფლების საუკეთესო ფორმას, პირიქით ფედერაცია არის ერთა თავისუფლების და ურთიერთობის საუკეთესო იარაღი, სადაც ერებმა მიუხედავად თავისი სიმცირისა, უნდა ისარგებლონ თანასწორი უფლებით. კომუნისტური პარტიის მეორე თავისუფალმა ყრილობამ ერთხელ კიდევ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციოს ეროვნულ მომენტს საბჭოთა წყობილების მშენებლობაში და უნდა შესძლოს ყველა იმ შეცდომების თავიდან აცილება, რომელსაც ადგილი ქონდა გასული წლების განმავლობაში.

ნარკვევი

მუშათა და გლეხთა მოძრაობა ინდოეთში.

მოსკოვის გაზ. „პრავდა“ ეხება ინდოეთის მოძრაობას და მის ხასიათს უკანასკნელ ხანებში. წერილი საინტერესო არის იმ მხრივ, რომ ახასიათებს ეროვნულ განჯგუფებას, რომელიც ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობაში ხდება. მოგვყავს ეს წერილი შემოკლებით:

გაჰდის დატუსაღების და მთავრობის მიერ რეპრესიული ზომების მიღების შემდეგი პერიოდი არის პერიოდი დეზორგანიზაციისა და ძალების მოკრებისა, რათა გამომჟღავნებულ იქნას ეკონომიური და სოციალური მოთხოვნილებანი, პირველად მტკიცედ ორგანიზაციული პოლიტიკური პროგრამის ფორმაში. „ინდოეთის ნაციონალური კონგრესი“—ჭრელი ორგანიზაციაა, რომელმაც უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში მიითვისა უფლება, ყველა უკმაყოფილო ელემენტების სახელით ლიპარაკისა,—კონსტიტუციონალისტების გამოკლებით; განდი იყო ყველაზე ცოცხალი ფიგურა ამ ორგანიზაციისა სხვებთან შეფარებით. არც ერთი ამ ორგანიზაციის ბელადთაგანი არ იყო გამომხატველი ინდოეთის საზოგადოებრივ რევოლიუციონურ ელემენტების, ქალაქის პროლეტარიატის, უმიწაწყლო გლეხების და პროლეტარიატ ინტელიგენციის ჭეშმარიტი მისწრაფებებისა.

გლეხების და პროლეტარიატის მოძრაობა ნაციონალურ კონგრესმა გამოიყენა თავის პოლიტიკურ მიზნებისათვის. მაგრამ ამ ბატონობასაც ბოლო ადგა და განდის დატუსაღებამ მხოლოდ დააჩქარა კონგრესიდან ინდოეთის რევოლიუციონურ ელემენტების წასვლა.

კონგრესის პროგრამის წინააღმდეგ შეიქმნა ოპოზიცია, დასაწყისში გაურკვეველი, მაგრამ როდესაც იმთავითვე ირჩეოდენ მემარჯვენენი და მეცხენენი. მარჯვენა ფრთა იცავდა რეალურ პოლიტიკას და მომხრე იყო გადახალისებულ საკანონმდებლო ორგანოში შესვლისა. მარცხენა კი პირიქით ისწრაფვის, განაახლოს მებრძოლი ტაქტიკა ინდოეთისა, თუმცა ძალადობას არ იყენებს, მემარჯვენეთა სტოვებს კონგრესის კომიტეტს, სადაც ოთვალსაზრისი უმცირესობაში რჩება.

მომავალ კონგრესზე გაიეში უთუოდ მოხდება გადაწყვეტილება. მემარჯვენე ფრთა ისწრაფვის ზომიერებთან შეერთებისკენ; მარცხენა ფრთამ, რომელიც მომხრეა ბრიტანეთის ბრძანებლობის ძალადობით დამხობისა, უნდა აღიაროს აქამდე არსებული ტაქტიკის უვარგისობა და უკმაყოფილოდ უცქიროს მასსების თანდათან ჩამოცილებას, რომლებზეც დაყრდნობილი იყო მთელი ძალა კონგრესის ხელმძღვანელ მოძრაობისა. მემარცხენე რადიკალები წვრილ ბურჟუაზიული შეხედულებებით არიან გაჟღენთილი. ისინი აშკარა მოწინააღმდეგენი არიან კლასთა ბრძოლისა და ვერ ბედავენ წამოაყენონ რევოლიუციონური პროგრამა.

პოლიტიკური მიწყნარების შემდეგ, რომელიც იყო განდის დატუსაღების დროიდან, მთავრობის რეპრესიების გამო, მოძრაობა ქალაქის პროლეტარიატისა და გლეხების თანდათან ვითარდება და ახალ ფორმებს ღებულობს.

გაფიცვებმა თანდათან დაკარგეს პოლიტიკური ხასიათი და გადაიქცენ წმინდა ეკონომიური ბრძოლის საშვალებათ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს გაფიცვები უმეტესად ხანგრძლივი არიან და ატარებენ მწვავე ხასიათს. უმეტესობა ამ გაფიცვებისა კომპრომისებით თავდება, მისი მიზეზიც არის არა საკმაო ორგანიზაციულობა, ბელადების გაუბედაობა და სიმცირე გაფიცვის ფონდისა. ფართო აგიტაციამ საერთო გაფიცვისათვის, რომელსაც მიზნად ქონდა ირლანდიელი რკ. გზის დარაჯის მილლერის (ჩრდილო-დასავლეთ რკ. გზ. პროფკავშირის თავმჯდომარის) განთავისუფლება, გამოიწვია მისი ხანგრძლივი განთავისუფლები; 30.000 მუშამ მის ციხიდან გამოსვლისას დემონსტრაცია გამართა.

გაფიცვებთან ერთად იზრდებიან და მაგრდებიან მუშათა ორგანიზაციები, პროფესიონალური კავშირები თანდათან იძენენ კლასობრივი შეგნების ორგანიზაციის ხასიათს. ადგილობრივი წვრილი ორგანიზაციები თანდათან ერთდებიან მსხვილ საოლქო და პროვინციალურ ორგანიზაციებში. ყველაზე მსხვილი პროფესიონალური ორგანიზაცია ინდოეთში არის ბენგალიის ფედერაცია, რომელსაც 250.000 წევრი ყავს.

მაგრამ ამასთან ერთად თანდათან ჩნდება ბრიტანეთის მუშათა პარტიის ნათესაური რეფორმისტული მიმდინარეობა, რომელსაც მიზნათ აქვს გამოიყენოს პროფკავშირები, როგორც საპარლამენტო, პოლიტიკური ფაქტორები ძალა-უფლებისათვის ბრძოლაში! ასეთი მოძრაობის ბელადები აუცილებლად სცნობენ მუშათა მოძრაობის წყნარ კალაპოტში მიმართვას და სცდილობენ მისცენ მას საპარლამენტო ბრძოლის ხასიათი. იმის გამო, რომ ამ რეფორმისტულ ბელადებს უჭირავთ მნიშვნელოვანი პოსტები, მათ ინდოეთის მუშათა მოძრაობისათვის დიდი ზარალი მოაქვთ.

ახალ მოვლენას ინდოეთის კანონმდებლობაში წარმოადგენენ მრავალი საკანონმდებლო პროექტები, რომელთაც მიზნათ აქვთ მუშათა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება ესინი იმის მაჩვენებელი არიან, რომ ინდოეთის მუშათა მოძრაობას თანდათან მეტი მნიშვნელობა ეძლევა ინდოეთის ნაციონალურ მოძრაობაში.

მღელვარება გლეხობაში ხარკებისა და იჯარის გადიხდის უარის თქმის ნიადაგზე ისევ დაიწყო, მის ჩასაქრობად გაგზავნილ იქნენ ჯარები; მოძრაობის მეთაურების უმრავლესობა დაატუსაღეს, მაგრამ მთავრობა მაინც იძულებული მოხდა დათმობაზე წასულიყო. არის იმის ნიშნები, რომ გლეხურ მასსებში მალე შეიქმნება გლეხური პარტია. მუშათა და გლეხთა მასებმა თავის წრიდან უნდა წარმოშვან ახალი თაობა ბელადებისა, რომელნიც შესძლებენ ერთგულებას მათი რევოლიუციონურ განწყობილებისას და მიმართავენ მას ნამდვილ გზაზე.

რადიო-დეპეშები

რურის ოლქის ოკუპაცია

არღვევენ კავშირების თავისუფლებას.

მოსკოვი. 14 მარტი. ბერლინიდან იტყობინებიან, რომ ბოხუმის საოკუპაციო ხელისუფლებამ დაავალა პროფესიონალურ ორგანიზაციებს წარუდგინონ მათ სიები, ყველა წევრების და უკიდურეს ხელმძღვანელ ორგანოების და წინასწარ გამოაცხადონ კრებების დრო და ადგილი. პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა უარი სთქვეს ამ განკარგულების შესრულებაზე, რადგანაც ის არღვევს კავშირების თავისუფლების.

ჰუანკარეს ბრიუსელში გამგზავრება.

მოსკოვი. 14 მარტი. გერმანიის პრესა იტყობინეაა, რომ ჰუანკარეს ბრიუსელში გამგზავრება ძლიერ დიდ მნიშვნელობისაა. საფრანგეთის პრემიერთან ერთად მიემგზავრებიან დეტროკე, მაჟინო, დელ-როკკა და გენერალი დეგუტი. ბრიუსელის თათბირზე განხილული იქნება საკითხი, რურის ოლქის ახალი ორგანიზიციის შესახებ.

პროლეტარული დახმარება.

მოსკოვი. 14 მარტი. დანიის მუშათა ორგანიზაციებმა იკისრეს 3 თვის განმავლობაში რურის მუშების 2.000 ბავშვის შენახვა.

ომის შეხაძლებლობა.

მოსკოვი. 14 მარტი. მუსოლინის ორგანო „იდეია ნაციონალე“ სწერს: „რურის საკითხი არის არა მარტო საფრანგეთ-ბელგიის საკითხი, არამედ აგრეთვე საერთაშორისო პრობლემა.

გერმანიისათვის შეუსრულებელი მოთხოვნილების წარდგენით, საფრანგეთი ცდილობს მოსწყვიტოს გერმანიას რეინის ოლქი და ვეტფალია. გაზეთი აკრიტიკებს ბონარ-ლოუს პოლიტიკას და ეხება საფრანგეთს და ინგლის შორის ომის შესაძლებლობას.

ფრანგები უკან იხევენ.

მოსკოვი. 14 მარტი. დიუსელდორფის კორესპოდენტის ცნობით, ფრანგებს განზრახული აქვთ გადაიტანონ თავიანთი მთავრი ბინა ესსენიდან დიუსელდორფში. გაზეთის აზრით ეს არის ფრანგების უკან დახევის პირველი ნიშანი.

ახლო-აღმოსავლეთი

ნაციონალური აღთქმის განხორციელებისათვის

მოსკოვი. 14 მარტი, ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების დახურული სხდომები, რომელზედაც ირჩევა ლოზანას ხელშეკრულება გრძელდება და დამთავრდება მხოლოდ რამოდენიმე დღის შემდეგ. დეპუტატება დაჟინებით მოითხოვენ ნაციონალური აღთქმის განხორციელებას. ამ განწყობილებას სავსებით მხარს უჭერს პრესა.

აჯანყება ფრანგების წინააღმდეგ ფართოვდება.

მოსკოვი. 14 მარტი, სირიაში ძლიერდება აჯანყებითი მოძრაობა ფრანგების წინააღმდეგ, მიუხედავად ფრანგების რეპრესიებისა. საოკუპაციო რაიონებში არის სიმშილობის ნიშნები. მდგომარეობით დაშინებულ ფრანგებს სურდათ მოეწყოთ ქუთეების პარტიზანული რაზმები, მაგრამ ვერ შესძლეს. ალეპოში შექმნილი მთავრობა ფრანგებს გადაჰყავთ გამასკში.

ხპარსეთი

ახალი კაბინეტი

ბაქო. 11 მარტი, სპარსეთში შესდგა მინისტრთა ახალი კაბინეტი შემდეგი შემადგენლობით: პრემიერი და შინაგან საქმეთა მინისტრი—მუსტაფა ალი-მამალეკი, სამხედრო—მერდერ-სენარი, ფინანსთა—ნეიოკ-ფარტულ-მულკი, იუსტიციის—შუმთაზულ-მულკი, განათლების—მუხტეშემ-ეს-სალტანე, ფ.-ტელეგრაფის და საზოგადოებრივ მუშაობის მინისტრთა ადგილები დროებით თავისუფალი დარჩა. მეჯლისის ეხლანდელი შემადგენლობა, ორ ძირითად დაახლოვებით თანასწორ რაოდენობის პოლიტიკურ ჯგუფებს: პირველი-სპარსეთის ნაციონალურ დამოუკიდებლობის და შინაური რეფორმების მომხრენი და მეორე ფეოდალურ-მემამულეთა წესწყობილების მომხრენი, რომლებსაც ზურგს უმაგრებენ ინგლისელები. მეორე ჯგუფს ემხრობა დრო-მოჭმული ფეოდალური არისტოკრატია—ყოფილ მთავრობის ოფიციალური უმრავლესობა, რეაქციონერები და ანგლოფილები.

მძიმე მდგომარეობამ, რომელშიაც ჩივარდა სპარსეთის საგარეო ვაჭრობა, მთავრობა აიძულა პირველად ყოვლისა სავსებით აღედგინა პოლიტიკური და ეკონომიური კავშირი საბჭოთა რუსეთთან, რომელიც დარღვია ამ პოლიტიკასადმი მტრული განწყობილება ექს-პრემიერმა კავამამ ახალი კაბინეტი საჭიროდ სთვლის გადაჭრით და საბოლოოდ უარჰყოს უცხოეთის სხვა და სხვა სახელმწიფოთა გავლენის ქვეშ მერყეობის პოლიტიკა.

უცხოეთი

ინგლისი ემყარება ვერსალის ხელშეკრულებაზე.

მოსკოვი 13 მარტი. მუშათა პარტიის წევრმა ტრეველმა ინგლისის პარლამენტში მიმართა მთავრობას შეკითხვით გამოუგზავნა თუ არა რუსეთის მთავრობამ მოკავშირეებს საპროტესტო ნოტა მემელის შესახებ და აქვს თუ არა ბონარ ლოუს განზრახვა მიიღოს საჭირო ზომები იმისათვის, რათა მიიღოს რუსეთისაგან დასტური მემელის საკითხის გადაწყვეტის დროს. ბონარ ლოუმ ამაზე უპასუხა: „მემელის სახელმწიფოებრივი მდგომარეობის გამორკვევის უფლება ვერსალის ხელშეკრულებით მინიჭებული აქვთ მხოლოდ მოკავშირე სახელმწიფოებს მემელი არასოდეს არ შეადგენდა რუსეთის ნაწილს ამიტომ მემელის საქმეში რუსეთის მონაწილეობის საკითხი ძველ მდგომარეობაში რჩება.

ინგლისელები დაეპატრონენ მემელს.

მოსკოვი 13 მარტი. ტეგერანიდან იტყობინები ან რომ მოსულში ინგლისელები შეუდგენ ნავთის ექსპლოატაციას და ჩააზიდეს იქ რკინის გზის და ტელეგრაფის ქონების დიდი ნაწილი მოსულში ეზიდებიან ავრეთვე დიდძალ სამხედრო ქონებას ქალაქის გარშემო ინგლისელები აშენებენ სიმაგრეებს.

ლოიდ ჯორჯი უარს ამბობს ლიდერობაზე.

მოსკოვი, 13 მარტი. პასუხად ასკვიტის განცხადებაზე, ლიბერალების შეერთების შესახებ, ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ მან სრულიად დაანება თავი ცენტრალურ პარტიის შედგენის ფიქრს დამოუკიდებლებთან ერთად ნაციონალ-ლიბერალებმა მისი სიტყვით, უნდა დაისახოს ამოცენთ ლიბერალურ პრინციპების გატარება წინანდელ კაბინეტის პოლიტიკიდან სრული გამიჯვნით გაზეთ „დეილ-ხრონიკლ“-ის ცნობით ლოიდ ჯორჯმა უარი სთქვა ლიდერობაზე.

სენატორი ბორა კიდევ რუსეთის შეხახებ.

მოსკოვი. 13 მარტი. სენატორ ბორამ რუსეთის დაცვის დროს ხელახლავ გამოსვლზე სენატშია სხვათა შორის სთქვა, რომ პიროვნების ხელუხლებლობა და კერძო საკუთრება რუსეთში ისეა დაცული, როგორც ნიუიორკში. ვიდრე წლის ბოლომდის საფრანგეთი, იაპონია და სხვა სახელმწიფოები იცნობენ ბორას აზრით საბჭოთა რუსეთს.

ახალი ამბები

დღეიდან გაზეთი „ტრიბუნა“ გამოდის ახალი ფორმით: ნაცვლად ხუთისა გაზეთის გვერდი გაყოფილია ოთხ ხვეტად და მთლად გაზეთი იტევს ცოტა მეტ მასალას. ვაცნობებთ აგრეთვე ხელის მომწერლებს, რომ დღეიდან გაზეთი გამოვა დაუბრკოლებლივ.

— **ნაპოვნი დოკუმენტები.** ჩვენ რედაქციას გადმოსცეს ნაპოვნი საფულე საჭირო დოკუმენტებით ლეო შიოს ძე დავითაშვილის სახელზედ. პატრონს შეუძლია მიიღოს „ტრიბუნა“-ს რედაქციაში 10—2 საათამდე.

— **გადასახადის გადიდება ელექტრონის ენერგიაზე.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმის მიერ და-

მტკიცებულია ამა 1-ლ მარტიდან შემდეგი ნიხრი კილოუატებზე—საათში, საქონლის მანეთის კურსით: 1) ბინებში და სახელმწიფო დაწესებულებებში, არა სამეურნეო ხასიათის—20 კ., 2) სამეურნეო ხასიათის დაწესებულებებში—25 კ. კერძო დაწესებულებებში: ა) პირველ რაიონში: ნაძალადევი, დიდუბე და ნავთლული—25 კ. ბ) ყველა რაიონებში გარდა პირველისა და მესამისი—30 კ. 3) ქუჩები—პლეხანოვის, რუსთაველის, კარლო მარქსის, ოლღას მოედანი, 3—12 ნომრამდე (ჩათვლით) სასახლის, თავისუფლების მოედანი, პუშკინის, შტაბის, პუშკინის შესავალი—35 კ.

— **სახლი განათლების მუშაკთა კავშირისათვის** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმს, პრინციპიალურად სასურველად მიაჩნია ყოფილ მუხრანსკის დამწვარ სახლის (რუსთაველის პრ. № 6) განათლების მუშაკთა კავშირისათვის გადაცემა, თუ კი ეს უკანასკნელი შესძლებს სახლის აღდგენას. საქმის გამორკვევა დავალებული აქვს მცირე პრეზიდიუმს.

— **შელავათიანი ბინები.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმს ამხ. ვარძიელთან ერთად დაევალა გამოიმუშაოს საკითხი ამქართა კავშირის წევრებისათვის შელავათიან ბინის ქირების დაწესების შესახებ.

— **ნაძალადევის ნიაღვრის საწინააღმდეგოთ.** როგორც ცნობილია. ნაძალადევში ძალზედ ცუდი ნიაღვრის დენა წვიმების დროს. ამის გამო, როგორც აღმასკომის მიერ საგანგებოთ გაგზავნილ ამხანაგმა გამოარკვია, მიჩნეულია საჭიროთ—ხევებში გაყვანილ იქნას ძეწნის მესრები, რომელიც შეამაგრებს ნიაღვარის მიერ წამოღებულ ნალეკს, ამავე დროს ძეწნის სარები მიწაში გაიბამენ ფესვებს, ტყეთ გადაიქცევა და შემდეგში კარგ საშუალებას წარმოადგენს ნიაღვარის საწინააღმდეგოთ. ეს პროექტი მოწონებულ იქნა და გადაიდო ამ მუშაობის შესასრულებლაო 300 მილიონი მანეთი აღმასკომის მიერ.

— **ნიხრი ხაძოვარ გადასახადზე.** დამტკიცდა პროექტი ტფილისის აღმასკომის საადგილ-მამულო განყოფილების ხაძოვარ გადასახადისა მსხვილ და წვრილ საქონელზე 1923 წ. ამ გადასახადისაგან თავისუფლდებიან ძუძუმწოვარი საქონლები. გადასახადი აიკრიფება აპრილის, მაისის და თიბათვის თვეების განმავლობაში.

— **„განათლების მუშაკთა სახლი“.** ხუთშაბათს, 15 მარტს, ხელსაქმის და ხატვის ქვესექციაში: 1. ამხ. პერის მოხსენება ხელსაქმის შესახებ, 2. საბავშვო შემოქმედების მუზეუმის ორგანიზაცია, 3. როგორ და რა ფორმებში გამოიხატება ხატვის კავშირი სასკოლო საგნებთან.

ხუთშაბათს 15 მარტს საღამოს 6 საათ. ბუნების-მეტყველება გეოგრაფიის ქვე-სექციის მორიგი სხდომა.

პარასკევს 16 მარტს საღამოს 6 ნახ. საათზე რუსული ენის ქვე-სექციის სხდომა. 1) გაირჩევა მასალები ბავშის სხვა და სხვა ჰასაკისა და დამახასიათებელი წარმოდგენების შესახებ. 2) ბლადკოვის ცნობა: თავისუფალი თხზულების შესახებ (განსბერგის მიხედვით. 3) ელიაშვილი—შაბლითეგკის სტატია: „თავისუფალი თხზულება სკოლაში“. 4) ლუკოვის-პავლოვსკის სტატია: „მოსწავლეთა შემოქმედება“.

ორშაბათს 19 მარტს საღ. 7 ს. ფიზიკა-მათემატიკის ქ. სექციაში კალიშევსკის მოხსენება: ერთ-ერთი შესაძლებლობათაგანი მტკივნეულ საკითხისთვალსაჩინო სახელმძღვანელოების უქონლობის-გადასაჭრელად 2) ტიუმენევის ცნობა—ახალი ლიტერატურის შესახებ.

ორშაბათს 19-3 საღ. 6 1-2 ს. ქართულ ენის ქვე-სექციის სხდომა თემა-აღზრდის იდეია შრომის სკოლაში პედაგოგიკის ისტორიის მიხედვით.

მუშათა ცხოვრება

ძირს პრივილეგია!—გაუმარჯოს თანასწორობას!

გაჭირვებულ ცხოვრებაზე, მუშა ხალხის შველაზე, უსამართლობაზე და სეკულიანტების თარეშზე დღეს ბრალიანი და უბრალო, დიდი და პატარა მტერი და მოყვარეც კი ლაპარაკობს, მაგრამ სინამდვილეში ჩვენ ძალიან ნაკლებად ვხედავთ, რომ მათთვის ვინმე ზრუნავდეს და მტერთა წინააღმდეგ კიდევ იბრძოდეს.

ვინა გნებავთ, რომ დღეს არა მუშაკობდეს და თავის თავს მშრომელი ხალხის მზრუნველად არ აცხადებდეს. ჩვენს კულტურულ და პოლიტიკურ დაწესებულებებში მუშაობა სდუღს და გადმოდუღს შეუწყვეტლივ, მაგრამ ნაყოფი სამწუხაროდ იმდენი არ მოაქვს და ყველაფერ ამას ყველანი ახალ ეკონომიურ პოლიტიკას მიაწერენ.

როდესაც ჩვენი ეკონომიური ცხოვრების პირობები გართულდა, როდესაც მუშა ხალხის შრომის ხელფასს, ძალიან გაუსწრო ბაზარმა,—ასეთ დროს შეუძლებელი იქნებოდა, რევოლიუციონურ ორგანიზაციებს და მუშათა მთავრობას თავისი ყურადღების გარეშე დაეტოვებია იმ კატეგორიის ხალხი, რომელთაც **უმუშევრები** ეწოდებათ. მაგრამ საჭიროა მეტის გაკეთება.

რომ უმუშევრობა მუშათა კლასის ცხოვრებაში ერთი მეტად საზრუნავი და ამავე დროს ჩამაფიქრებელი საკითხი არის, ეს ანბანური ჭეშმარიტება, აღარავისათვას აღარ არის საიდუმლოება და ამიტომ გვსურს ამ საკითხს ერთხელ კიდევ შევეხოთ.

ვინც არ არის დაინტერესებული უმუშევართა მდგომარეობით, ვინც თვითონ გამძლარა და სხვაც გამძლარი ჰგონია' ვისაც ერთხელაც არის შრომის ბირჟაში არ შეუხედნია იმიტომ, რომ თვითონ უმუშევრად არა ყოფილა;—ასეთ პირებს, რა თქმა უნდა, ნათელი წარმოდგენა არ ექნებათ უმუშევართა ცხოვრებაზე.

უმუშევართა რიცხვი ისე იზრდება დღეს, რომ ლამის არის ლეგიონად გარდაიქცეს.

შრომის ბირჟა კი თავის მხრივ ხან ღებულობს უმუშევრებს და ხან კი აჩერებს.

შრომის ბირჟა, ეჰვს გარეშეა, ღებულობს შეაფერ ზომებს, მაგრამ როგორც ვხედავთ გართულებული მდგომარეობა სასურველ შედეგებს ვერ იძლევა და პერსპექტივაში ვერა ვხედავთ ისეთ შესაძლებლობას, რომ უმუშევართა ლიკვიდაცია ახლო მომავალში მომხდარიყოს. დ აქედან გამომდინარე ვამბობთ, რომ შრომის ბირჟაში მომხდარ ხალხის „ჩაწერვას“ არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ მათ რასაკვირველია გამოსავალ გზას არ უჩვენებთ.

ამ სერიოზულ საქმეს იმედია დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს როეორც თვითონ ბირჟამ, აგრეთვე შრომის კომისარიატმა მით უმეტეს რომ ამ ორ დაწესებულებას სათავეში უდგანან არა ბიუროკრატიული წრის ხალხი, რომელთაც მშრომელი ხალხის სიცოცხლე ჩალის ფასად არ ეღირთ, არამედ ნამდვილი პროლეტარიატის მეგობრები, ძველი რევოლიუციონერები და მბეჭდავთა წიაღიდან გამოსული მუშები ვ ბერბერაშვილის და ალ. იაშვილის სახით.

არის ხალხი, რომელიც გაჭირვებულმა ცხოვრებამ აიძულა ჩაბმულიყო შრომის ფერხულში, ეს რა თქმა უნდა უდავო დებულებაა, მაგრამ არც ის არის ჩვენთვის საიდუმლო ამბავი, რომ ამ ხალხთა შორის არიან ისეთი პირები, რომელთაც არავითარი გაჭირვებული ცხოვრება არ აიძულებთ; მსახურებენ პირდაპირ კარიერისთვის და კიდევ იმიტომ, რომ საბჭოთა მოსახსახურის ტიტული ატარონ რათა სხვა და სხვა შემთხვევების დროს გამოსაძვრენი ხვრელები ჰქონდეთ **და არიან ისეთებიც,** რომელნიც მსახურობენ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ თავის დროზე არ მოაკლდეთ „აბრეშუმის ჩულქები“ „ლაკიროვნი ტუფლები“ და „პუდრი-პამადა“. ასეთ მდგომარეობას ჩვენს დაწესებულებებში არა თუ მარტო მენშევიკების დროს, არამედ ალაგი აქვს ფართოდ დღესაც.

როგორა გნებავთ მოინელოთ სოციალისტური თვალსაზრისით ის ამბავი, რომ დღეს ამ კრიზისის ხანაში ბევრი ოჯახიდან სამი ოთხი სული იმყოფება სამსახურში, რომელთა თვიური შემოსავალი უდრის 60-დან 100 მილ. მანეთს და ყველაფერი ეს ხდება მაშინ, როდესაც აუარებელი ოჯახის წევრები იმყოფებიან უმუშევრებად შრომის ბირჟაში და განა ყველაფერი ეს მართალი არ არის? დიახ, რომ მართალია და ამისათვის აუცილებელ პირობად უნდა გავიხადოთ ის წესი, რომ შტატების შემოკლების დროს მოვხსნათ ის პირები, რომელთაც ოჯახის სხვა წევრებიც ჰყავთ სამსახურებში და არავითარ შემთხვევაში ისეთები, რომელთაც მთელი ოჯახი შეჰყურებს სარჩენად.

არც ერთი უბრალო მომაკვდავი არ მიიჩნევს სამართლიანად იმ გარემოებას, რომ ერთ ოჯახიდან 3—4 სული მსახურობდეს და მეორე ოჯახიდან კი **არც ერთი.**

ასეთი შრომის განაწილება კი რაღა თქმა უნდა, რომ არ არის სამართლიანი.

ალბად დღესაც არიან შრომის ბირჟაში „ჩაწერილნი“ ისეთი პირები, რომელთა, ოჯახებიდანაც ორი-სამი პირი მაინც იმყოფებიან სამსახურში.

უნდა მოხდეს რევიზია, უნდა მოხდეს გამოკვლევა და ასეთი პირები მოიხსნან შრომის ბირჟიდან.

ასეთივე საზომით უნდა მიუდგეთ სამსახურში მყოფ ხალხსაც და სადაც აღმოჩნდება, რომ ერთი ოჯახიდან რამდენიმე სული იმყოფება სამსახურში, უნდა განახევრდეს მათი რიცხვი.

ასეთი შესაძლებლობა უნდა გავრცელდეს არა თუ მარტო სამოქალაქო უწყება-დაწესებულებებზე, არამედ სამხედროზედაც.

ამ საქმეში შრომის კომისარიატს და ბირჟას საუკეთესო სამსახურს გაუწევენ ადგილკომები და ის საბინაო დავთრები, რომელნიც ნათელი მაჩვენებელი არიან ამა თუ იმ მოქალაქის საქმიანობისა.

გაზვიადებულ უმუშევრობას, რომ კარგი შედეგები არ მოსდევს, ეს ახალი თეორია არ გახლავთ და ამიტომ მუშათა ორგანიზაციებმა პირველ ყოვლისა ამ უმუშევართა საქმის მოგვარებაზე უნდა იზრუნოს ყოველთვის.

ახოთ-ამწყობი დ. მ—შვილი.

მოსკოვი და ტფილისი

(საკუთარი კორესპოდენტისაგან).

1.

მოსკოვი დღეს რუსეთის მარტო პოლიტიკურ-ადმინისტრატიული ცენტრი როდია. მთელი კულტურული შემოქმედება და აზროვნული მოძრაობა, რომელიც დიდ რევოლიუციას ახასიათებს, თავს იყრის ამ რევოლიუციის დედა ქალაქში—მოსკოვში. მე მგონია განათლებული ქვეყნის შვილი ამერიკელი ან ევროპელი, ან საზოგადოთ ყველა ის, ვინც არ ცხოვრობდა რუსეთში სამოქალაქო ომის დროს, განცვიფრებული დარჩება საკვირველი სანახაობით: მოსკოვი დამშეული პურით და სურსათით მთელი 4—5 წლის სამოქალაქო ომის განმავლობაში, დამშეულა უფრო მეტად სულიერად. შემოქმედებითი პოტენცია ჯერ არც ერთ რევოლიუციაში არ გაშლილა ისეთი ენერგიით, როგორც რუსეთის სამოქალაქო ომში. კლასობრივ ინსტიქტსა და ფიზიკურ ძალას მიენიჭა დიდი უპირატესობა კრიტიკულ აზროვნებისა და დამშვიდებული გრძნობის წინაშე. სულიერი მხარე ადამიანისა მიიჩქმალა მახვილისა და ცეცხლის წინაშე. თავდაცვის ინსტიქტით გამსჭვალული მუშა, რევოლიუციონერი ლატაკი გლეხი ხშირად სიტყვის თქმას ვერ ასწრებდა, მოქმედება კი აუცილებელი იყო. არამც თუ მდგომარეობის განსჯისა და აწონ-დაწონვისათვის ჰქონდა დრო რევოლიუციონურს რუსეთს, იგი ვერ ასწრებდა ხშირად ეთქვა სამოქმედო სიტყვაც კი; რევოლიუციონურმა უშუალო სტიქიამ შთანთქა, ან უკეთ რომ ვსთქვათ, შეაჩერა აზროვნების შემოქმედებითი აპარატი და კლასობრივი ინტუიციით გაიკვლია ნარ-ეკლიანი გზა, რომლის გავლაც მას მეოცე საუკუნის მეოცე წლებმა დაეკისრა.

ამ რიგად რუსეთის რევოლიუციის ცხელებით შეპყრობილი მთელი 4—5 წლის განმავლობაში დაიმშა სულიერად გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე უპურობით და უსურსათობით. ამ მხრით შეიძლება ითქვას, რომ დიდი განსხვავება არის საფრანგეთისა და რუსეთის დიდ რევოლიუციებს შორის.

სამოქალაქო ომს საფრანგეთში 89 წლიდან არ ჰქონია ისეთი მრისხანე და შეუსვენებელი ხასიათი, როგორიც მიიღო მან რუსეთში. მთავარი მოძრავი კლასები, ბურჟუაზია და ფეოდალური თავადაზნაურობა საამისო ნიადაგს არ იძლეოდა. 89 წლის რევოლიუციამდის უკვე შემპარავი ბურჟუაზია ახერხებს საფუძველის გამოთხრას საშუალო საუკუნეობის ნაშთებისას. თავადაზნაურობის მეფეული მე-16 მეტად სუსტია იმისათვის, რომ შეაჩეროს ზღაპრული ციხე-სიმაგრის ბასტილიის ჩამოქცევა; დაქირავებული პრეტორიანები, ფულით ნაყიდი შვეიცარიელი გვარდიელნი მეტი ენერგიითა და ღონით იცავს ძირგამოთხრილ ტახტს, ვიდრე ამ ტახტის ერთ დროს მასაზრდოებელი ნოყიერება დრომოჭმული თავადაზნაურობა და ფეოდალური სამღვდელოება.

კონვენტის დრო, ხანა ტერორისა და მარატ-რობერ-სპიერებისა, არსებითად იყო ბრძოლა ერთ რევოლიუციონურ მიმდინარეობაში, გამარჯვებული რევოლიუციის სხვა და სხვა ფრთათა შორის, ამიტომ იგი ხანგრძლივიც არ იყო. მთავარი ბრძოლა ფეოდალიზმთან რევოლიუციის პირველმა პერიოდმა დაამთავრა ბურჟუაზიის გამარჯვებით მეტი სიადვილითა და ნაკლები სისხლის ღვრით, ვიდრე ეს წილად ხვდა რუსეთის პროლეტარულ-გლეხურ რევოლიუციას ბურჟუაზიაზე. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საფრანგეთის რევოლიუციაში გვერდი-გვერდ მიდის სოციალ-პოლიტიკური გარდაქმნა და კულტურული შემოქმედება.

სრულიად სამართლიანად აღნიშნავდა ლუნაჩარსკი თავის საჯარო გამოსვლებში, რომ დღემდის რუსეთის პროლეტარიატსა და მშრომელ გლეხობას დრო არ ჰქონდა კულტურულ ფრონტზე ემუშავა, მას დრო არ ჰქონდა აემუშავებია ძლიერი ღერძი თვისი მდიდარი სულიერი ქარხნისა.

დღეს ეს დრო დაუდგა რუსეთის ხალხს და იგიც იღტვის ამ წყურვილის მოსაკლავად. როგორც აღვნიშნეთ ეს განსაკუთრებით ნათლად და შესამჩნევად მოსკოვში შეიძლება დაინახოთ.

მოსკოვში რევოლიუციამდისაც ვყოფილვარ, რევოლიუციის პირველ ხანებშიც 1917 წელშიაც მინახავს მოსკოვი. მაგრამ მოსკოვი ასე ხარბი და გამაძღარი სულიერად წარმოდგენილი არასოდეს არ მქონია. კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა იჩენს უდიდეს ენერგიას მიაწოდოს საზრდო გონებრივად დამშეულ მასსას: აწყობს მრავალ ლექციებს და მოხსენებებს კულტურის სხვა და სხვა დარგში. მაგრამ შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა მთავრობის დაუსვენებელი შრომა და არაჩვეულებრივი ზომების მიღებაც კი ვერ აკმაყოფილებს იმ გაშმაგებულ სულიერ წყურვილს, რომელსაც ადგილი აქვს ფართო მასსებში.

თეატრების რიცხვი მოსკოვში ძლიერ გამრავლებულია, ასევეა კინოების, მაგრამ არა ერთსა და ორს ხვდება წილად უბილეთობის გამო უკანვე გამობრუნება; იშვიათად შეხვდებით ნაცნობს, ამხანაგს და საზოგადოთ მოქალაქეს, რომ საღამოს რომელიმე უბანში მოხსენებაზე დასასწრებლად არ მიდიოდეს. „პრავდისა“ და „იზვესტიას“ უკანასკნელს გვერდზე აღნიშნული ლექციებ-რეფერატების რაოდენობა მცირეა შედარებით სინამდვილეში არსებულ ამ მოხსენებების რიცხვთან (თუმცა მკითხველი შეამჩნევდა, რომ ამ მოხსენებათა რაოდენობა ყოველდღე გაზეთებში გამოცხადებულიც ასამდის ადის).

მაგრამ სულიერი საზრდოს მოთხოვნილებანი მოთხოვნილებანი დღეს მოსკოვის მასისათვის სხვა თვისებისა და შინაარსისა გახლავთ, ვიდრე ეს ოცი ადრე თებერვლის რევოლიუციის დასაწყისში.

მიტინგი, პროფესიონალური [illegible] ენაწყლიანობა ვერ ნახულობს გამოძახილს დღეს მუშა-მოსამსახურეთა ფართო წრეებში. მაგრამ ალ ფრთოვანებით და დიდის ენტუზიაზმით ხვდებ სოციალისტური მოსკოვის წითელი საზოგადოებ ყოველ მეცნიერულ და სერიოზულ-დადებით მოხს ნებებს. უნდა ითქვას სიმართლე, რომ ამ მხრი კულტურული მუშაობის მესვეურნი აკმაყოფილებ მასის მოთხოვნილებებს. იმართება მრავალი დისკ ტები როგორც პოლიტიკურ-ეკონომიურ საკითხებ ზე, აგრეთვე ხელოვნების სხვა და სხვა დარგებ და განსაკუთრებით მეცნიერულ კითხვების გარშ მო, თქვენ უყურებთ, რომ მუშურ აუდიტორიაშ პოპულიარულს ენაზე იკითხება მოხსენებანი ბი ლოგიიდან, ბუნების მეტყველებიდან, ისტორიიდან გეოგრაფიიდან და გიკვირთ გაფაციცებული ყურად ღება, არაჩვეულებრივი კმაყოფილება, რომელსა განიცდის შენ გვერდით მჯდომი მეზობელი მისთვ ახალი სამყაროს აღმოჩენის შემდეგ. ხშირია შ თხვევა, როცა დარბაზი სთხოვს ლექტორს წაიკ ხოს კვლავ მოხსენებანი თავისი ცოდნის დარგიდ (მაგალითად „სქესობრივ საკითხე“ პროფ. ფრ ლოვს; „მაქსიმ გორკი“ და „ანდრეევი“ პოსეს ლ ქცია, აუდიტორიამ, რომლის შემადგენლობა უმეტ სად მუშური იყო სთხოვა ხელოვნებიდან ლექციე ბის წაკითხვა და სხვ.)

მასას ძლიერ აინტერესებს ისტორია სოციალიზმისა. კლასთა ბრძოლის ისტორია უძველ დროიდან, მიმდინარე პოლიტიკურ-სოციალურ მდგომარეობა სხვა და სხვა ქვეყნებისა. აქაც მ მოთხოვნილება დიდია და არ კმაყოფილდება ბურ ჟუაზიისა თუ რეფორმისტული სოციალ-დემოკრ ტიის მინებით; იგი მოითხოვს სათანადო არგ მენტაციას და მეცნიერულ დასაბუთებას. როგორ თავის, ისე მოწინააღმდეგე ბურჟუაზიულ კლას მდგომარეობისას.

კომუნისტურ პარტია ასეთი მოთხოვნილებ დაკმაყოფილებისათვის სათანადო ზომა მიუღია ლ საშუალებაც გამოუნახავს: კომინტერნის, სახალ კომისართა საბჭოში, თვითეულ კომისარიატებ მიმდინარე მომენტის ამა თუ იმ საკითხზე მოხსენ ბები ძლიერ ხშირი და ჩვეულებრივია; ხოლო შ დეგ ესევე მომხსენებელი კითხულობს მოხსენებებ ქალაქის სხვ. და სხვ. უბნებში. ამრიგად განუწყვ ტელი კავშირი მყარდება საბჭოთა დაწესებულებ თა მუშაობასა და მასების შორის ერთის მხრ და მეორეს მხრით მუშათა კლასი მთლიანად უ არ რჩება გარემოებათა მსვლელობას და ხელმძღვ ნელთაგან დასმულ პოლიტიკურს დიაგნოზს უ რომ ვსთქვათ მოსკოვის პროლეტარიატი და მოს სახურენი ყოველთვის პოლიტიკურ ვითარებ ჯურსში არიან.

ამითაც აიხსნება ის სერიოზული და დაფ ქრებული მოპყრობა ყოველ საჭირბოროტო საკ თხისადმი, რომელსად იჩენს იგი საჯარო დისპუტ ბისა თუ მოხსენებების დროს. მე საშუალება მეჭ ბა ერთ-ერთ კორესპოდენციაში მოუთხრო ამ მხრ დადებით ცვლილებებზე, რომელიც მომხდარა რ სეთის მუშათა კლასის ცხოვრებაში.

ჩვენთვის იშვიათი და თითქმის ახალი ხ იყო დღემდის მუშათა მონაწილეობა საჯარო დ საპასუხისმგებლო რეფერატებზე. საქართველო ჯერ კიდევ მუშა და გლეხი მიტინგს არ გასცილ ბია.

რუსეთიშ დედა ქალაქში, მოსკოვში ჩვენ ხშ რად ვხდებით მოვლენას, როცა დიპლომიანს ინტ ლიგენტს ბოლშევიკს, პროფესორს ბუხარინს ეკამ თება მუშა გაბედულად ცხოვრებისაგან და რევ ლიუციისაგან მიღებული არგუმენტაციით. ასეთ მოკამათე მუშის კილო არ მოგვაგონებს მისსავე თ ვდავიწყვებულ გინებას სამ სართულიანი სიტყვებ რევოლიუციის პირველ ხანებში. უკანასკნელი ი თითქმის არგუმენტიც და დებულებაც შურისძ ბით აღგზნებული მუშათა კლასისა თავის მოწინაა მდეგე ბურჟუაზიის მიმართ ოქტომბრიდან უკანა კნელს ორს წლამდე. დღეს კი მოსკოვის პროლ ტარიატი სწავლობს თავის თავს, აფასებს თავ განვლილ გზის მნიშვნელობას, იძენს დადებით ც ნიერულ ცოდნას და ემზადება ხანგრძლივი ბრ ლისათვის.

მოხკოველ.

მოსკოვი 20 თებერვალი.

კომპოზიტორ-პროფესორი ზაქარია ფალიაშვილი

(მისი ოპერის „აბესალომ და ეთერი“-ს მეასეჯერ დადგმის გამო *)

საქართველოს დედა ქალაქში სახელმწიფო ოპერის თეატრში მეასეჯერ დაიდგა ჩვენი საყვარელი კომპოზიტორ-პროფესორის ზაქარია ფალიაშვილის განთქმული ოპერა „აბესალომ და ეთერი“. მეასეჯერ ქართულ ოპერა—საკვირველი მოვლენაა. ვინც იცნობს ზაქარია ფალიაშვილის „აბესალომს და ეთერს“ და არა მგონია ტფილისში კიდევ იყვეს რომელიმე ქართველი, რომელსაც „აბესალომ და ეთერი“ არ ენახოს, იმისთვის სრულადაც გასაკვირველი არ არის, რომ ზაქარია ფალიაშვილი მ სეჯერ წარმოსდგა საქართველოს სამსჯავროს წინ შე, როგორც „აბესალომ დმ ეთერი“-ს შემქმნელ მეასეჯერ გადაგვიშალა მან თავისი გული და გ ჩვენა სიყვარული საქართველოსადმი, სიყვარულ რომელიც ნაზი და მშვენიერი ჰანგებით განნ ციელებულია და გაცისკროვნებულია მთლიან „აბესალომ და ეთერი“-ს მთელ სივრცეზე.

ოთხი წლის განმავლობაში—და ეს ხომ ს მცირე დროა—„აბესალომ და ეთერი“ მეასეჯ დაიდგა.

ეს დღე მართლაც დღესასწაული იყო საქ თველოსი, დღესასწაული ქართულ ხელოვნებისა ქართულ ხელოვნებისა და ქართულ მუსიკის.

*) ეს და შემდეგი წერილი უნდა წასულიყო „აბესალომ და ეთერის“ მეასეჯერ დადგმის დღეს, მაგრამ რადგანაც ჩვენი გაზეთი არ გამოდიოდა უშვებთ დღეს.

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შევეხოთ თვით ზაქარია ფალიაშვილის ცხოვრებას და შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება ამ პიროვნებაზე.

ზაქარია ფალიაშვილი დაიბადა ქალაქ ქუთაისში. მიუხედავად იმისა, რომ მისი მშობლები არც ერთ მუსიკალურ ინსტრუმენტზე არ უკრავდენ და არც სახლში ჰქონიათ მათ რაიმე ინსტრუმენტი, რომელზეც მათ შვილებს შეეძლოთ მეცადინეობა, მიუხედავად ამისა მათ მრავალრიცხოვან ოჯახში და-ძმებს ბუნებითად მუსიკალური ნიჭი დაჰყვა. როგორც თვითონ ზაქარია ფალიაშვილი გადმოგვცემს „ეს იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როგორც კათოლიკენი, ხშირად მოსიარულენი ეკლესიაში, სადაც საეკლესიო ორღანოს ნაზი ხმები სმენას ატკბობს და ანვითარებს, ჩვენც და მომეტებულად კი მე და ჩემი უფროსი ძმა ივანე, რომელმაც პირველმა თავის უმცროს და-ძმებს ჩაგვინერგა სიყვარული მუსიკისადმი, ერთავაო ეკლესიაში ვიმყოფებოდით და ნელნელაობით, შეუმჩნევლად ჩვენი მუსიკალური სმენაც ვითარდებოდა. კარგად მახსოვს როცა რვა წლისა ვიყავი, იმ დროს იქ მყოფმა ქუთაისის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის წინამძღოლმა დონ ივანე ანტონიშვილმა შემასწავლა საშობაო საგალობელი „იესოს ნანი“ და პირველად შობა ღამეს ეკლესიაში მაგალობა. ხმა აღმომაჩნდა წკრიალა „სოპრანო“ და ეი ამ ხმით ვგალობდი 18 წლამდე“. (იხილე 1919 წელს გამოცემულ ჟურნალ „თეატრი და მუსიკა“-ს №-ში დაბეჭდილი ზაქარია ფალიაშვილის „ავტობიოგრაფიული ცნობები“ გვ. 21.)

1887 წელს ტფილისის ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიის წინამძღოლმა პატრი ალფონსო ხითარიშვილმა ვანო და ზაქარია ფალიაშვილები ტფილისში გადაიყვანა. ვანო მიწვეული იყო როგორც ორღანოზე დამკვრელი, მხოლოდ ზაქარია ვანოს თანაშემწედ და მგალობლად. რასაკვირველია ასეთ პირობებში ზაქარია ფალიაშვილი იმდენად შეეჩვია ორღანოზე დაკვრას და გუნდის მომზადება-გაძღოლას, რომ დაიკავა ორღანისტის ადგილი. ისარგებლა რა ტფილისში ჩამოსვლით, ზაქარია შედის სამუსიკო სასწავლებელში სპეციალურ თეორის და თითბრის ინსტრუმენტების კლასში, რომელსაც 1898 წელს ამთავრებს.

1900 წელს ტფილისის თავად-აზნაურთა საკრებულო უმაღლეს სწავლის მისაღებად მას სტიპენდიას უნიშნავს, რის შემდეგაც ის მიემგზავრება

ზ. ფალიაშვილი

მოსკოვს, შედის კონსერვატორიაში და იქ ცნობილ თეორეტიკოს კომპოზიტორ ს. ტანეევის ხელმძღვანელობით მუშაობას ეწევა. 1903 წელს ამთავრებს მოსკოვის კონსერვატორიის სპეციალურ თეორიის კომპოზიციისას და მოემგზავრება ტფილისში. იმავე წელს ზაქარია ფალიაშვილი სიმღერა-მუსიკის მასწავლებლად მიიწვიეს ვაჟთა და ქალთა სათავადაზნაურო გიმნაზიებში და მუსიკის თეორის მასწავლებლად ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში (ეხლანდელი პირველი სახელმწიფო კონსერვატორია). ტფილისის სამუსიკო სასწავლებელში მასთანვე ის ითვლებოდა ზემხედათ (ინსპექტორად).

„ჩემი მუდმივი მისწრაფება, პატარობიდანვე იყო სიყვარული სამშობლო ჰანგებისადმი“—სწერს ზაქარია ფალიაშვილი თავის ავტობიოგრაფიაში მართლაც სამშობლოს ჰანგებისადმი სიყვარულმა აიძულა ის რამოდენიმეჯერ 15 წლის განმავლობაში შემოევლო საქართველო ყველა კუთხეები, დაწყებული კახეთიდან თვით სვანეთამდე, ადგილობრივ ეცნობოდა, სწავლობდა ქართულ სიმღერებს, რომელთაც ფონოგრაფის შემწეობით სწერდა; რასაკვირველი ამ რიგად მან დიდძალი მასალა შეაგროვა, რომლის მცირე ნაწილი უკვე გამოცემულია, მხოლოდ მეორე უფრო დიდი ნაწილი დამზადებულია გამოსაცემად და შეიცავს თავის მხრივ როგორც ხალხურს, ისე ქართულ საეკლესიო საგალობლებს 300 რიცხვამდის.

რაც შეეხება ოპერის „აბესალომ და ეთერი“-ს შეთხზვას, მისი წამახალისებელი იყო მშვენიერი ხალხური ლეგენდა „ეთერიანი“. ლეგენდას ზაქარია ფალიაშვილზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია მისი ლიბრეტო შეადგინო ცნობილ საზოგადო მოღვაწემ მწერალმა **პეტრე მირიანაშვილმა,** რის შემდეგაც ფალიაშვილი შეუდგა ოპერის წერას; ეს იყო 1912 წელს. ოპერა იწერებოდა 6 წლის განმავლობაში და ისიც მხოლოდ ზაფხულის თვეებში. აქ რასაკვირველია აუცილებლად მხედველობაში მისაღებია ის არანორმალური პირობები, რომელშიც ზაქარია ფალიაშვილს უხდებოდა ამ ვრცელ ოპერის წერა. თანწყობრივი მუშაობა მთელი წლის განმავლობაში შეუძლებელი იყო მისთვის, რადგან მას, როგორც მასწავლებელს, 9 აკადემიური თვის განმავლობაში ყოველ კვირეულად 40—45 გაკვეთილი ჰქონდა და ეს თავის თავად ცხადია დიდი დაბრკოლება იყო ოპერისათვის.

მეორე გარემოება, რომელმაც ხელი შეუშალა მის მუშაობას, იყო ის უბედურობა, რომელიც მას დაატყდა თავს მისი ერთად ერთ საყვარელ შვილის დაკარგვის გამო. ამ გარემოებამ ორი წლით შეაგვიანა ოპერა, უკვე მზა ოპერა, რომელსაც მხოლოდ ბალეტის დაწერა აკლდა და მხოლოდ 1918 წლის ზაფხულში დაასრულა ის სავსებით და უძღვნა თავის შვილის ხსოვნას.

ოპერა „აბესალომ და ეთერი“ ტფილისის სახელმწიფო ოპერის თეატრში პირველად დაიდგა 1919 წლის 20 თებერვალს შულგინას, გრანელის, მოროზოვას, ინაშვილის, ქურხულის, ზალიპსკის და სხვათა მონაწილეობით. ოპერას დაესწრო დიდძალი საზოგადოება და მათ შორის უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლები. საღამომ წარუშლელი შთაბეჭდილება დასტოვა საზოგადოებაზე და სადღესასწაულო ხასიათი მიიღო. „აბესალომ და ეთერ“-მა იმ დღიდან აახმაურა მთელი საქართველო. ქართველი ხალხი უცბად მოიხიბლა „აბესალომ და ეთერი“-თ და მით მოხიბლულია ის დღემდე, ვინაიდან დღესაც ყოველი მის გამეორებაზე კვლავ სავსეა თეატრი, კვლავ ხალისით მიდის ამ ოპერაზე ხალხი.

იმავე 1919 წელს 25 თებერვალს ზაქარია ფალიაშვილის 25 წლის უანგარო მუშაობის აღსანიშნავად კვლავ დაიდგა მისივე ოპერა „აბესალომ და ეთერი“. დიდი თანაგრძნობით შეხვდა მას მთელი ხალხი და შესაფერისადაც აღნიშნა მისი მოღვაწეობა მუსიკალურ ასპარეზზე.

„აბესალომ და ეთერი“-ს დადგმით სავსებით ნათლად გადიშალა ჩვენს ეს ... მელიც გაუწევია კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილს. მის მუშაობაში ... მიზანი და მისწრაფება, საითკენაც მიიმართვის თვით ზაქარია ფალიაშვილი.

„ჩემი თავი და თავი მიზანი—ამბობს ზაქარია ფალიაშვილი—და მისწრაფება ყოველ ჩემს მუშაობაში ყოფილა და მუდამაც იქნება რომ ქართული ჰანგების „ჰარმონიზატორმა“, თუ შემთხზველმა არას გზით არ უნდა უღალატოს იმ პრინციპს, რომელიც თავდაპირველ განძს წარმოადგენს ხალხურ ჰანგების დამუშავება ანუ შეთხზვაში, ეს პრინციპი გახლავთ, მთლიანად და სუფთად დაცვა ქართული კოლორიტისა აღმონაცენ თვით ხალხის გულიდან, რასაკვირველია ეს ყველაფერი ევროპიულ ან უკეთ რომ ვსთქვათ მსოფლიო მუსიკალურ კანონებზედ დამყარებული ტეხნიკურად შემუშავებული უნდა იყოს. მე ამ პრინციპის მომხრე ვარ და მუდამაც ვიქნები, რადგანაც ეს ერთად ერთი გზა არის, რომლსაც შეუძლია მუსიკალური ხელოვნება ჩვენში ააყვავოს და განვითარება მისცეს. ასე უმუშავნიათ ყველა კომპოზიტორებს ამა თუ იმ სახალხო სიმღერების შემუშავება-განვითარებაზე“.

„აბესალომ და ეთერი“ს შემდეგ მისი დასახული მუშაობის პროგრამა უნდა გამოხატულიყო ახალ საშუალო ზომის ქართულ ოპერის წერაში, რომლისთვისაც მას დიდი მასალა ჰქონდა დაგროვებული და მართლაც ზაქარია ფალიაშვილმა თავისი განზრახვა სისრულეში მოიყვანა. ჩვეულებისამებრ ის მუშაობას კვლავ ზაფხულობით განაგრძობდა და სამი ზაფხულის განმავლობაში, სახელდობრ 1920, 1921 და 1922 წლებში აბასთუმანში მან დაამუშავა დაგროვილი მასალა და დასწერა ახალი ოპერა „ღამის თევა“, რომელიც უკვე წარედგინა სახელმწიფო ოპერის სარეპერატუარო კომისიას. ახლო მომავალში ალბად ვიხილავთ ამ ახალ ოპერას.

კომპოზიტორი ზაქარია ფალიაშვილმა ამ ხნის განმავლობაში უკვე მიიღო პროფესორის ხარისხი და დღეს დღეობით ის ითვლება სახელმწიფო პირველ კონსერვატორიის გამგეთ. ის კვლავ მხნედ და დაუღალავად ეწევა მუშაობას და სიყვარულით განაგრძობს თავის საყვარელ საქმეს.

ხ. ახლანიშვილი.



პირველი მოქმედება.

„აბესალომ და ეთერის“ პირველი დადგმა



მეორე მოქმედება.

მოგონება ზაქ. ფალიაშვილის საოპერო შემოქმედების დაწყების შესახებ

განა ბევრი დრო გავიდა მას შემდეგ? ოცი წელიწადი. ეს კი თითქმის გუშინ მოხდა. საბედნიეროდ ნათელი შთაბეჭდილებები დიდ ხანს რჩებიან ადამიანის ხსოვნაში, ასეთ ნათელ წუთად ჩემს ცხოვრებაში იყო პირველ ქართულ ოპერის დამწერ ზ. ფალიაშვილთან გაცნობა და დაახლოვება. მე ვიყავი ყოფ. საიმპერატორო მუსიკალურ საზოგადოების დირექციის წევრად, როცა იმედებითა და ღონით აღსავსე ტფილისში ჩამოვიდა ეხლანდელ მოსკოვის კონსერვატორია დამთავრეული ზაქარია ფალიაშვილი პირველ ხანებში იგი საპედაგოგიო ასპარეზზე მუშაობდა, რომ გასცნობოდა ტფილისის საზოგადოებას. ახალგაზრდა ფალიაშვილს ჯერ ხომ არავინ იცნობდა და არც ცხოვრების პირობები იყო ისეთი, რომ საზოგადოება უცებ დაინტერესებულიყო ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსით. რუსულ მუსიკალურ საზოგადოების დირექციამ ყურადღება მიაქცია მას და მიიწვია თეორეტიულ კლასის მასწავლებლად (ჰარმონია, კონტრა-პუნქტი და კომპოზიციის თეორია).

ზაქ. ფალიაშვილი თავიდანვე სერიოზულად მოეკიდა თავის საქმეს და მოკლე ხანში ხდებოდა თანდათან ცნობილი და პოპოლიარული. საბედნიეროთ იგი არ დაკმაყოფილდა ამით და პარალელურად მოღვაწეობდა. როგორც კომპოზიტორი.

ზაფხულის არდადეგში იგი მოგზაურობდა მთელ კავკასიაში. მას არ -ჩერებდა არავითარი დაბრკოლება: შემოიარა მთელი საქართველო, ყურს უგდებდა სახალხო მელოდიებს, იწერდა მათ, გამოსცა სახალხო სიმღერების 2 კრებული. ოპერის დაწერა მაშინ მას აზრადაც არ მოსვლია. მისი მიზანი იყო გამოემუშავებია ქართული მუსიკის სტილი. ვიცნობდი მის შემოქმედებას ამ დარგში, მე არა ერთხელ ურჩიე თავისი ძალა მოეხმარა უფრო კონკრეტიულ ნაწარმოებზე. არა ერთხელ ურჩიე ოპერის დაწერა. რა თქმა უნდა პირველად ეს აზრი მე არ მომიცია. ერთხელ ზაქ. ფალიაშვილი მოვიდა და მითხრა: „მე ვიპოვე თემა ჩემი ოპერისათვის, მე ვსწერ მასო“. შემდეგ გამაცნო თავის ოპერის სუჟეტი. ეს იყო პირველი იდეა „აბესალომ და ეთერის“ შესაქმნელად. მაშინ ტფილისში გამოდიოდა ჟურნალი „ფასკუნჯი“. მასში დაიბეჭდა ლექსად ლამაზი ლეგენდა ქართველ მეფე აბესალომისა და გლეხის ქალი ეთერის სიყვარულის შესახებ ზაქ. ფალიაშვილმა გადასწყვიტა აეღო ის ოპერის სიუჟეტად.

პეტრე მირიანაშვილი დაინტერესდა ახალგაზრდა მუსიკოსით და შეუდგინა მას ლიბრეტო. მალე გაჩნდა პირველი ნაწყვეტები, რომელსაც იგი აცნობდა თავის მეგობრებს. ნაწყვეტებში დაცული იყო ქართული საერო კოლორიტი, ფალიაშვილს არ უსესხებია მელოდიები ხალხურ მელოდიებიდან—მისი შემოქმედება სრულიად სუბიექტიურია.

ვერვინ იტყვის, რომ მის აბესალომში მუსიკის ხასიათი ქართული არ იყოს მაგრამ ნამდვილი ქართული მელოდია არ არის: ამაშია გამარჯვება მუსიკალურ შემოქმედებისა და მუსიკალურ კომპოზიციის, მეგობრებისა და სპეციალისტების რჩევით მან შეაერთა ნაწყვეტები და გამოვიდა ხუთ მოქმედებიანი ოპერა, ამ ჟამად შესამე აქტი გამოტოვებულია. ამ გვარად დარჩა ოთხ მოქმედებიანი ოპერა.

პირველად ოპერა დაიდგა ყოფ. ქართულ დრამატიულ თეატრის სცენაზე. დირიჟორობდა თვით ავტორი. საჭიროა განა იმის აღნიშვნა, თუ რამდენი ძალა და ენერგია უნდა დახარჯულიყო მის დასადგმელად? მახსოვს, ეთერის პარტიას ასრულებდა მოქ. ნიკიტსკაია-კოლოტოვა, აბესალომისას—სარაჯიშვილი, ბელიარს—აგასოვი. შრომამ ტყუილად არ ჩაიარა და ოპერა მოეწონათ, განსაკუთრებით, ხორო. ოპერა გამეორდა რამოდენიმეჯერ. პრესა ალაპარაკდა ახალგაზრდა კომპოზიტორზე, პირველ დადგმებში ბალეტი არ იყო: ახლანდელი ბალეტი ფალიაშვილმა შემდეგ დასწერა, როცა სახელმწიფო ოპერის კარები გაიღო ფართოდ მის მისაღებად და როცა შესაძლებელი გახდა მისი იქ დადგმა.

მეახე წარმოდგენა! ისიც ოთხი წლის განმავლობაში ერთ ქალაქში. რა თქმა უნდა თეატრალურმა ქრონიკამ იცის ასჯერ და მეტი დადგმებიც, მაგრამ ეს რამოდენიმე ათეული წლის განმავლობაში. აქ კი... ასჯერ მხოლოდ ტფილისში. ეს შესანიშნავი მოვლენაა ტფილისის სახელმწიფო თეატრისათვის, ეს უნდა აღნიშნოს და გვრწამს რომ, რომ ამ მუსიკალურ უქმის მიზეზი დამსახურებულ მადლობას მიიღებს საზოგადოებიდან.

ვ. ბებუთოვი.

მეტი მოგზაურობა, მეტი გაცნობა სამშობლოსი

აქ კვლა, იქ ძარცვა, გლეჯა, ქურდობა და სხვა ამისთანა ამბები, რომლებიც ელვის სისწრაფით ვრცელდება საზოგადოებაში გაზეთებისა და უფრო კი ურთიერთთა პირადი გადაცემის საშუალებით, ისე აბრუებენ საზოგადოებას, როგორც თამბაქოს მწეველთ თუთუნის მოწევა და მოქეიფეთ—ცვინო-არყით შექცევა...

დიახ რომ აბრუებენ, ათრობენ... აშინებენ, არინდებენ... აწუხებენ, აკვნესებენ... ჰშლიან და არღვევენ ადამიანის სულის სიმშვიდეს, სიმტკიცეს, ადუნებენ მოქმედების მაჯას, უკარგავენ მხნეობას, სასოწარკვეთილებამდის მიჰყავთ ხალხი, ერი...

რომ სადმე ამის მსგავსი რამ ფსიქიური კვლევა-ძიება და სტატისტიკა არსებობდეს, ბევრს საგულისხმო რასმეს გვეტყოდა იგი ჩვენს ყოფა-ცხოვრება-ვითარებაზე, მაგრამ, რადგანაც მეცნიერებისათვის ეს მხარე ჯერ ხელუხლებელ ნიადაგს წარმოადგენს, მოვიყვანთ ასეთი სტატისტიკის დასაბამად ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთს ამბავს, იქნება სხვებმაც მიაქციონ ყურადღება და როდისმე მართლაც—და ღირსნი გავხდეთ საზოგადოებრივი ფსიხოზის მეცნიერულად შესწავლისა, სტატისტიკისა...

გაზაფხულის მოახლოვებამ ყველას საღერღელი აუშალა ბუნების წიაღსა შინა მუშაობა-მოქმედებაზე და მეც გადავწყვიტე წავიდე ყარაიაზში, სადაც არსებობს სახელმწიფო საცდელი მინდორი და სხვათა შორის ხეხილთა სანერგე, რომ შევიძინო სხვა და სხვა ხეები მამულში დასარგავად...

წასვლა მართალია გადავწყვიტე, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც ისე ადვილი ყოფილა იქ წასვლა, თუმცა სულ რაღაც 30—40 ვერსზეა ყარაიაზი ტფილისიდან და პირდაპირი რკინის გზითაც არის იგი მასთან შეერთებული; ასე რომ სულ ორი საათის მგზავრობა უნდება კაცს სადგურამდე. მაგრამ გაბრუებული და გაგუდული ზემოდ-დასახელებული ფსიქიური „ნარკოტებით“, მე მთელი ერთი კვირა დამჭირდა რამოდენადმე მაინც გავნთავისუფლებულიყავ მათგან და დავრწმუნებულიყავ იმ უბრალო ჭეშმარიტებაში, რომ „ეშმაკი არც ისე საშიშია როგორც მას ხუცესნი ხატავენ“...

ოჯახმა და შინაურებმა ხომ ილაჯი წაიღეს: სად მიდიხარ, ვისთან, ვინა გყავს ნაცნობი, ვერ ხედავ რა ამბავია ქვეყნად—კვლავ ძარცვა, გლეჯა, ყაჩაღობა, ქურდობა, რად გინდა ხეები, ვისთვის გინდა თუ შენ აღარ იქნები და სხვა ამისთანები. საქმე იქამდე მივიდა, რომ შინაურებმა სიზმარიც კი ნახეს, რომ მე, ვითომც, ვიღაც ბოროტ-მომქმედნი დამეცნენ, ცხვირ-პირი და კბილები ჩამამტვრიეს, სისხლი მადინეს, რომ ხმაურობაზე მილიციაც კი მოვიდა, მაგრამ დამნაშავე რომ ვერ აღმოაჩინეს, გული იმით გაიკეთეს, რომ სთქვეს: „ბებერი ყოფილა ეს ვიღაც ადრე და გვიან საიქიოს წასაშავებელიო“ და სხვა...

დიახ, გაბრუებული და გაგუდული ასეთი და მის მსგავსი ამბებით, პირველ მარტს მე მაინც გავემგზავრე ყარაიაზს, მივიარ-მოვიარე-მოვიხილე მთელი საცდელი მინდორი და დავრწმუნდი ჩემი ხუთივე და თუ გნებავთ, ექვსივე გრძნობით, რომ, მართლაც, ეშმაკი არც ისეთი საშიში ყოფილა, როგორც მას ხუცები ხატავენ... ოთხი-ხუთი დღეც დავრჩი მე იქ და მეექვსე დღეს კვლავ შინ დაებრუნდი ახლა კი სრულიად დამშვიდებული და განკურნებული ზემოდ დასახელებულ ყოველ „ნარკოტებისგან“... ტყუილად კი არ უთქვამთ, რომ შიშს დიდი თვალები აქვსო...

გამახსენდა ინდოეთელი ბრძენი ბუდდას მიერ ერთი გიჟი დედაკაცის სწორედ ასეთივე ხერხით განკურნება და მომყავს აქ ეს საინტერესო ამბავი ერთხელ მოწაფეებმა მოჰგვარეს ბუდდას ვინმე გაგიჟებული დედაკაცი მკვდარი ბალღით ხელში და სთხოვეს მისი განკურნება. ამას ეს ბალღი მოუკვდა მწუხარებისგან ჭკვაზე შეიშალა და ბალღს არავინ ანებებსო, რომ დამარხონო...

ბუდდამ მოუხმო უბედურ დედას და უთხრა: ერთს რასმე დაგავალებ, დედავ, გთხოვ შემისრულო იგი, მძიმე საქმე არ არის, ადვილად შეგიძლიან შეასრულოვო.—რა საქმეა, მიბრძანე შენი ჭირი-

მე,—უთხრაა დედაკაცმა.—აი სოფელი წადი იქ, მოიარე ყოველი სახლი, შემიტყე, რომელ სახლში არავინ მომკვდარა და როცა ნახო ასეთი სახლი, ნოდი და მაცნობეო...

დედაკაცი წავიდა, ხელში მკვდარი ბალღი უჭირავს, შევიდოდა ეზოში თუ ურა, გამოიხმობდა პატრონს, დაჯდებოდა, პატრონსაც დაიყოლიებდა დამჯდარიყო და მოუყვებოდა ბრძენი ბუდდას დავალებაზე ლაპარაკს. სოფელი დიდი იყო, მაგრამ სადაც და ვისთანაც არ მივიდა, ყველამ ასე უთხრა: ეგ როგორ შეიძლება, რომ სახლში ვინმე არ მომკვდარიყო, აი ეს სახლი მამა-პაპისგან არის აშენებული, ისინი დაიხოცნენ, აგრეთვე მათი შვილები და ახლა ჩვენა ვცხოვრობთ აქ, ჩვენც დაგვეხოცა ზოგს ქმარი, ზოგს ცოლი, ზოგს შვილიო, ასეა ქვეყანა, ზოგი ჩნდება და ზოგი კვდებაო... ასე უთხრეს ყველგან საცოდავ დედას, სადაც კი არ შევიდა და ჯერ სოფლის ნათხალიც არ მოევლო, რომ ის უკვე განიკურნა სრულიად, განიკურნა, რადგანაც დარწმუნდა, რომ სიკვდილი აუცადი კანონი და შედეგია სიცოცხლისა, შეურიგდა თავის ხვედრსაც, წავიდა სასაფლაოზე, მოთხარა საფლავი, დამარხა შვილი და დამშვიდებული-განკურნებული მივიდა ბუდდასთან, ყველაფერი უამბო და ბოლოს უთხრა: შენი დავალება ვერ შევასრულე, რადგანაც არა თუ ამ სოფელში, მთელს ქვეყანაზედაც არ მოიპოვება ისეთი სახლი, რომ მასში ვინმე არ მომკვდარიყოსო... ბუდდას იამა ქალის განკურნება, ანუგეშა ახალი მრავალ-შვილიანობით და უთხრა: წადი, დედავ დღეიდან უფრო მკვირცხლად იყავ, ბეჯითად ადევნე თვალ-ყური ცხოვრებას, შეისწავლე მისი გარდაუვალი კანონები და ბედნიერი იქნებიო...

მოგზაურობაც პირის-პირ შეხვედრაა ცხოვრებასთან, ხალხთან, იგი საუკეთესო მაჩვენებელია იმისი, რომ ცხოვრება და ხალხი ყველგან ერთია, მართალია, ზოგან და ზოგჯერ კვლა თუ ცარცვა-გლეჯა და სხვა ბოროტებაა, მაგრამ შიგა და შიგ ბედნიერება და ნამდვილი საქმიანი საქმეც არის, არის ბრძოლა ბუნებასთან მის ძალთა ზედა და უფლებისათვის, არის ბრძოლა და მწარე მუშაობაც უკეთესი ცხოვრება-მომავლისთვის.

ივანე როხტომაშვილი.

მოფფერილი ამბები

ხენაკის მაზრა.

შეტევა რელიგიის წინააღმდეგ. ჩვენი გლეხობა უკვე დიდიხანია, რაც არ არის განთქმული თავის რელიგიურ მორწმუნეობით. რელიგიურ გრძნობის შესუსტების ნიშანი ჩვენს გლეხში იყო ეკლესიაში მოსიარულეთა რიცხვის თანდათანობით კლებას, შეუსრულებლობა ზოგიერთ საეკლესიო წესებისა და უპატივცემულობა სასულიერო წოდების პირებისადმი.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როდესაც მას მოყვა ეკლესიის სახელმწიფოსგან გამოყოფა და გაძევება სკოლებიდან შავი ანაფორით მოცულებისა დაიწყო უკანასკნელ რელიგიურ გრძნობათა ნაშთების აღმოფხვრა ჩვენი გლეხობის შემეცნებიდან და გლეხობამ აგიტაცია-პროპაგანდის გავლენით დაიწყო გადასვლა შეტევაზე რელიგიის, ეკლესიისა და სამღვდელოების წინააღმდეგ.

უნდა აღინიშნოს, რომ შეტევა რელიგიის წინააღმდეგ ხდება მემამულეებიის წინააღმდეგ გლეხების შეტევასთან ერთად. მემამულეებთან გადამწყვეტი ბრძოლის დაწყებამდე, რაც მოხდა სრულიად საქართველოს საბჭ. ცენტრ. აღმასკომის მე-3 სესიის დადგენილების შემდეგ, ჩვენი გლეხობა თუმცა გულ-აცრუებული იყო რელიგია, ეკლესია, სამღვდელოებაზე, მაგრამ არ აპირებდა გაუქმებას ეკლესიების და სხვ.

იწყება გადამწყვეტი ბრძოლა მემამულეებთან, რომელთაც ერთმევა სახლები მიწები და ამასთან ერთად მშრომელი გლეხობა წელში სწორდება, სულით მტკიცდება და გაბედული ხდება.

დადებითი გავლენა მოახდინა ამაზე დავითი და კონსტანტინეს ნაშთების გახსნამ, რომელზედაც დასასწრებლათ გაგზავნილი იყო მორწმუნეთა წარმომადგენლები ჩვენი მაზრის თითოეული თემიდან. თვით ეს მორწმუნენი, როდესაც დაბრუდენ ნაშთის გახსნის შემდეგ, იყვნენ საუკეთესო პროპაგანდისტები რელიგიის და სამღვდელოების მოტყუილების წინააღმდეგ.

25 თებერვლის დღე სენაკის მაზრის გლეხებისათვის არის ისტორიული დღე. წითელ-არმიის 5 წლის თავის და საქართველოს გასაბჭოების 2 წლის თავის საზეიმო დღესასწაულთან ერთად ეს დღე შესანიშნავი იყო ეკლესიების გაუქმებით და ასეთების სკოლებათ, თეატრებათ და სახალხო სახლებათ გამოცხადებით, მთელ რიგ თემებში. ასე მაგ. 25 თებერვალს ერთსულოვანი დადგენილებით მრავალი რიცხოვან მიტინგზე გაუქმებულია ეკლესიები და გადაკეთებულია ასეთები სახალხო სახლებათ. თეატრებათ და სკოლებათ შემდეგ თემებში: ხორში, სუჯანა, (გაუქმებულია სინაგოგაც) ნაესაკოვო, ნახუნოვო, ნოქალაქევი. გეჯეთი და სხვ. აღნიშნულ თემებში გაუქმებულია 30 ეკლესიაზე მეტი. მიტინგის შემდეგ ხალხი მიდიოდა ეკლესიებში წითელი დროშებით, სახურავებიდან ჰგლეჯენ ჯვრებს და გარეთ ყრიდენ ხატებს.

ღამით 25 თებერვალს ზოგიერთ ეკლესიებში გაიმართა წარმოდგენები. სხვა თემებიდან ცნობები ჯერ არ მიგვიღია.

ეკლესიების გაუქმება გრძელდება და ვფიქრობთ, რომ ჩვენს მაზრაში ყველგან იქ, სადაც დღემდე გვესმოდა მგლების ღმუილი, გავიგონებთ მშრომელთა სანეტარო ჰიმნს.

27 თებერვალს შესდგა გრანდიოზული მიტინგი ქ. ახ. სენაკში, პროფკავშირის წევრების, მოსწავლეთა და ქალაქის მცხოვრებლების მონაწილეობით. მიტინგმა მხურვალე აპლოდისმენტის ქვეშ და „ვაშას“ ძახილით, დაადგინა: ახალ-სენაკის ქალაქის ეკლესია გადაკეთებულ იქნეს საბალხო სახლათ. მიტინგის დამთავრების დროს, ორატორის მოწოდებით: „წინ, ბასტილიისაკენ“, მრავალრიცხოვანი ხალხი „ვაშას“ ძახილით დაიძრა ეკლესიისაკენ. სახურავიდან ჩამოხსნილ იქნა ჯვარი, ხატები გამოტანილი ეზოში და გატარებული ქალაქის ბაღში და ჭუჩებში.

და იქ გუმბათზე, სადაც წინეთ მზის სხივები უხვათ ანათებდენ ჯვარს, დღეს ნათლად ბრწყინავს ხუთთავიანი წითელი ვარსკვლავი.

შეტევა მემამულეებზე მტკიცე ნიადაგზე აყენებს საბჭოთა ხელისუფლებას და მალლა სწევს კომპარტიის ავტორიტეტს. შეტევა რელიგიაზე, ეკლესია და სამღვდელოებაზე საუკეთესო მაჩვენებელია იმისა, რომ ჩვენი გამარჯვება ნამდვილათ უზრუნველყოფილია.

სენაკის სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე

ხ. მამულია.

ს. ნოსირი. 1923 წ. 24 იანვარს, დღის 2 საათზე, საბჭოთა სკოლის დარბაზში მოხდა უპარტიო ქალთა კრება. კრებას დაესწრო 200-მდე ქალი და რამოდენიმე კაციც. თავმჯდომარედ კრებამ ერთხმად აირჩია მარიამა ლომაიასი, მდივნად—საბჭოთა სკოლის მასწ. ზინაიდა კორზაია. კრებაზე მოხსენება გააკეთა სენაკის მაზრის ქალთა განყოფილების გამგის მოადგილემ ამხ. კატუშა გოგუაძის ასულმა ქალთა უფლების შესახებ. ამხანაგ მასწავლებლის სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქალებზე. კრებამ მომხსენებელი დააჯილდოვა მქუხარე ტაშით. ბოლოს საბჭოს წევრად არჩეულ იქნენ: თამარა ქაჯიას ასული და მარიამ ჩილაჩავას ასული ლომაიასი. თუმცა ეს კრება პირველი შემთხვევა იყო სოფელ ნოსირში და ბევრი ამხანაგ ქალებმაც არ იცოდენ კრების გახსნა, მაგრამ მიინც უამრავი რიცხვი ქალებისა დაესწრო კრებას. საბჭო აწარმოებს მუშაობას და ყოველ თვეში იქნება მოწვეული უპარტიო ქალების კრება ორ-სამჯერ. კრება დაიხურა საღამოს 5-ზე.

ვუსურვებ ამხ. უპარტიო ქალებს საღი გონებით მოქმედებას, წინსვლასა და საქართველოს მშრომელ ქალთა სოციალისტურ მოძრაობაში მნიშვნელოვანი წვლილის შეტანას.

მასწ. ლუსია ხოფერია.

ხელოვნება

სამტრედია. ამ ბოლო დროს სამტრედიას დაეტყო გამოცოცხლება; ამუშავდა თითქმის ყველა ძალები, დაარსდა მუსიკალური საზოგადოება, არჩეულია გამგეობა, რომელშიაც შედიან რ. ნანეიშვილი, ბ. ფარცვანია ქ-ნი ოლია პაპავასი, ჯვარიძე და სხვები; გამგეობამ უკვე მოიწვია სკოლის გამგეთ ქუთაისიდან ცნობილი და დამსახურებული როიალისტი ქალი ქ-ნი მ. ჰ. სეგალი, მასწავლებლები: სიმღერის ვ. ჯვარიძე, ვიოლონჩელის ევტოშუკი, სკრიპკის ვ. ვაშაკიძე, თეორიის დ. შანიძე, მაჰავარიანი და სხვა; ჯერ-ჯერობით მოწაფეები ითვლებიან ას-ხუთამდე და იმედია, რომ მათი რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება; დიდი ინტერესით შეხვდა საზოგადოება სკოლის გახსნას; გამგეობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბ. ფარცვანიამ მუსიკალურ სკოლის მნიშვნელობის შესახებ და აღნიშნა ის დახმარება, რომელსაც უწევდა სკოლის დაარსებას ადგილობრივი ხელისუფლება და განათლების კომისარი ამხ. კანდელაკი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა სამაზრო და ადგილობრივი ხელისუფლების სახელით ამხ. გახოკიამ, აგრედვე წაკითხული იქნა მისასალმებელი დეპეშა, მიღებული განათლების კომისრიდან.

შემდეგ ამისა გაიმართა მუსიკალური საღამო, რაც წარჩინებულად ჩატარდა მოწვეულ მასწავლებელთა მიერ.

დასავლეთ საქართველოში ამ გვარი სკოლა არსებობს მხოლოდ ქუთაისში, დანარჩენ ქალაქებში არაა.

15 თებერვალს რკ. გზის კლუბში გამართულ იქმნა მესამე მთლიანი შრომის სკოლის მიერ უფასო ლიტერატურული საღამო. სცენა ლამაზად იყო მორთული, მოწაფეები კარგად მომზადებულნი, მხოლოდ დამსწრე საზოგადოება ისეთი მრავალრიცხოვანი იყო, რომ ფეხზედაც არ ეტეოდნენ, რაც იწვევდა უკმაყოფილებას, ხმაურობას, განსაკუთრებით ბავშვების მხრივ, რის გამო საღამო ჩატარდა უსიამოვნოდ, საზოგადოებას არ გაუგია, თუ რა ხდებოდა სცენაზე.

ასეთ საღამოს გამართვას უმჯობესი იქნებოდა სულ არ გამართავდენ. ამ გვარ შემთხვევაში კარგი იქნებოდა თუ კი ჯერ ბავშვებისათვის გამართავდნენ ბ მერმედ მშობლებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში საღამოს ყოველთვის დაეკარგება თავისი მნიშვნელობა.

ოლდახშვილი,

წერილი რედაქციის მიმართ

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ თქვენს გაზეთში ადგილი დაუთმოთ შემდეგს:

1918 წლიდან მე ვირიცხებოდი საქ. სოც. ფედ. პარტიაში. პარტიაში მომხდარ განხეთქილების შემდეგ თავს ვსთვლიდი უპარტიოდ, თვალ-ყურს ვადევნებდი პარტიის ორივე ფრთის პოლიტიკასა და გეზს. ორი წლის დაკვირებამ დამარწმუნა, რომ მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის პრინციპები და ტაქტიკა სავსებით შეეფერება თანამედროვე რევოლიუციონურ ხანას და მართლდება სინამდვილეში, ამიტომ დღეიდან თავს ვანებებ, როგორც უპარტიობას, ისე მემარჯვენეთა ყოველგვარი სიმპატიას და სრულიად შეგნებით და გულწრფელად გადავდივარ საქ. მემარცხენე სოც. ფედ. პარტიის რევოლიუციონურ რიგებში.

ბარ. კარტოზია.

ამხ. რედაქტორო! ნება მომეცით თქვენი გაზეთის საშუალებით გამოვაცხადო, რომ მე აღარ ვითვლები საქ. ს. დ.-ულ პარტიის წევრად და დღეიდან სურვილი მაქვს ვიყვე საქ. მემარცხ. სოც. ფ-თა, სარევოლიუციო პარტიის წევრათ.

ნინო ჭანიშვილი.

1918 წლიდან ვირიცხებოდი საქართველოს სოციალ-ფედერალისტთა პარტიის წევრად. პარტიის გაყოფის შემდეგ დღემდის არც ერთ ბანაკს არ ვეკუთნოდი, მაგრამ დავრწმუნდი, რა რომ საქართველოს მემარცხენე სოციალისტთ-ფედერალისტთა პარტია არის ნამდვილი მშრომელთა პარტია, ამიტომ გადავდივარ საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა პარტიაში.

ა. მიხ. მამაცაშვილი.

პატივცემულო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს გაზეთში ჩემს „ღია ბარათს“ ზოგიერთი ცილისწამების თავიდან ასაცილებლად.

გასულ წელს გაზ. „ტრიბუნა“-ში მოვათავსე წერილი: „საბავშო ბაღები და მათში მუშაობა“.

ამ წერილის შესახებ [illegible] ბევრმა [illegible] მიცნობდნენ „კერძო საუბარში. ბევრი მისახდა-ვეს, რომ ჩემი წერილი [illegible] და წერილებითი გარჩევა ბაღების მუშაობისა და ჩემგან ამ საქმისადმი უფრო მეტ ყურადღებას მოელოდნენ.

მე მათ უნდა მოვახსენო, რომ ეს წერილი მხოლოდ „მიმოხილვის“ სახით იყო ამოგლეჯილი იმ მასალებიდან, რომელიც მომეპოვება ყველა ბაღებზე სათითაოდ. და განზრახვა მაქვს სრული და შევსებული დავბეჭდო.

მეორე გამგეებმა კი, რომელნიც არც მიცნობდნენ და არც ვენახე, ჩამთვალეს რაღაც „ჩუმ აგენტად“ ამ საქმის სათავეში მდგომისა და „ინსტრუქტორის“ სახელიც მიწოდეს.

უცნაური იყო, რომ ჩემთვის უცნობი გამგეები და მასწავლებლები ყოველთვის რაღაც ეჭვით ეპყრობოდნენ ჩემს მისვლას და „რევიზორად“ მთვლიდნენ.

ამას ვატყობდი მათ შეხვედრისას. და კითხვაზე: ვინა ვარ? ჩემი პასუხი იყო: „სრულიად კერძო და დამოუკიდებელი პირი მხოლოდ დაინტერესებული ვარ ამ საკითხით“.

ამ პასუხის შემდეგ მშვიდდებოდნენ რამდენადაც შეეძლოთ ეჩვენებინათ.

უნდა განვაცხადო, რომ მათთვის არც საბუთი მიმიცია ეწოდებინათ ჩემთვის „ინსტრუქტორი“ და არც ვისგანმე მიმიღია დავალება, არამედ სრულიად ჩემი სურვილით და საქმის ინტერესით დავდიოდი ბაღების დასათვალიერებლად.

ამ გამგეების შესახებ კი ვიტყვი, რომ ალბად თავის ზურგს უკან გრძნობენ რაიმე აღმზრდელობითი „ცოდვებს“ და არც ჩვეულნი არიან უცხო პირის სტუმრიანობას, რომ ყოველ კერძო საქმის სიყვარულით მისულს მოჭალაქეს ისინი „მიგზავნილად“ სთვლიან.

ასეთი პირები ბევრს შეუშლიან ხელს საბავშო ბაღების მუშაობის გაცნობაში და ამიტომ ისინი ცოტა საზოგადოებრივობას უნდა შეეჩვევნენ.

მეთვალყურე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტფილისის ქალაქის აღმასკომის გადასახადთა ბიურო

ამით აცხადებს, რომ სამშაბათს, მარტის 20-ს, დღის 12 საათზე დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის შემდეგ სასწორებისა:

1) თათრის მოედანზე, 2) დესიმონოვის მოედანზე, 3) მუხრანის ბაზარზე და 4) ნუნუფაროვის ბაზარზე. ყოველივე ცნობების გაგება შეიძლება გადასახადთა ბიუროს კანცელარიაში.

297 6—1

გადასახადთა ბიურო.

ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის

ფინანსთა სახალხო კომისარიატის რწმუნებული საქართველოში.

აცხადებს, რომ ამიერ-კავკასიის სოციალისტურ-ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს

2 მარტის № 20

დადგენილების თანახმათ

ვადა ფულის ნიშნების გადაცვლისა ამიერ-კავკასიის ერთიანი ფულის ნიშნებზე გაგრძელებულია ამა წლის

10 აპრილამდე.

ამიერ-კავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარის რწმუნებული საქართველოში

ბ. ბიბინეიშვილი.

№ 206. 1—1.

ტირაჟი 700 საქართ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. განყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. № 2.